59

შაბათი, 14 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი № 162

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყ-ველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ნეკროლოგიური ტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანაზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელთაწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მეორე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი“-ს ხელის მოწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზედაურ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთის ხელისმოწერის ფასი: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარეთ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დასასრულამდე გაზეთის ფასი: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარეთ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარეთ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარეთ—80 კაპ., საზღვარ-გარეთ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ხანგრძლივ სნეული ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა

**ივანე ივანეს ძე გოკიელოვი,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მეუღლე განსვენებულისა **ელისაბედ სიმონის ასული**, შვილები **მიხეილ, რაფიელ, გაბრიელ, პეტრე** და მათი მეუღლენი: **ელისაბედ სხვეტის ასული, მ... რომელ ივანეს ასული, ელისაბედ ალექსის ასული და მ... იაკობის ასული გოკიელოვები.**

პანაშვიდები ყოველ დღე, 6½ საათზე საღამოთი. გამოსვენება 15 ივლისს, დილის 9 საათზე, თავის საკუთარ სახლიდან, გაგარინის და ადვოკატის ქუჩების კუთხეში, კათოლიკეთა ეკკლესიაში. (2—6—1)

შკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა

ქართული

„დროების კალენდარი“

დამდეგი 1908 წლისათვის.

„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან.

ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**.

დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

მისამართი ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა.

**„დროების კალენდრის“** გამომცემელს.

21/ï-65 № 1

ექიმი

**მ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

**ქუთაისში**

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ქიშკარიდან. (60—ფოს.—42)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**შინაგანი და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—134)

ექიმი

**მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—86)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და სალ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—13)

თეატრი „ფუნიკულერი“

**შაბათს, 14 ივლისს** ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ცხოვრების გმირი**

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. ზ. ჩიკვაიძისა.

ადგილების ფასი 50 კ. 1 მ. 50 კ-მდე

ვინც წარმოდგენის ბილეთს შეიძენს, იმას შეუძლია ისარგებლოს „ფუნიკულერზე“ ასვლა ჩამოსვლით უფასოდ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე, დასასრული 10½ საათზე.

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

(2—უ.—2) ადმინისტრატორი **დ. ჩარკვიანი.**

ელექტროთერაპიული კაბინეთი

**მიხეილ მეღვანიშვილისა**

გაიხსნება 1 აგვისტოდან. (3—ნ.—1)

კვირას, 15 ივლისს, გამოვა იუმორისტული, კარიკატურებიანი გაზეთი

**„შუამავალი“**

ადრესი: Типографія товарищества „Трудъ“ Михайловская № 65. სტამბა ამხანაგობისა „შრომა“ მიხაილოვის ქუჩა № 65.

ფასი ყველგან—10 კ. (2—უ.—1)

გამოვიდა და იყიდება

**ა. საკუელისა**

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში

წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—7)

## ჭიდაობა

**დ. ყვირილაში.**

მთავრობის ნებართვით კვირას, 15 ივლისს 1907 წ., ცნობილ ფალავანის **ნ ესებუას** თაოსნობით ახლად მოწყობილ საჭიდაოს მოედანზე გაიმართება დიდი საინტერესო ხუთი წყვილი ჭიდაობა: 1. იჭიდავებენ ტფილისელი სახელოვანი ფალავანი ვ. აბულაშვილი, იგივე ქიზიყელი და სურამელი მეზურნე ნაქები მოჭიდავე ქოსა-სინო; გამარჯვებული მიიღებს 25 მ. 2. ვანო გურჯიშვილი, დაეჭიდება სამტრედიელ ივანე რევიშვილს; გამარჯვებულს 15 მ. 3. ბელაგორელი დ. დეკანოიძე დაეჭიდება ბათუმელს ს. პაპიაშვილს; გამარჯვებულს 15 მან. 4. ხაშურელი ვ. სულთიძე დაეჭიდება გორელ ს. შინამეს, გამარჯვებულს 15 მანეთი. 5. შორაპნელი სარაფიონ ფუტკარაძე დაეჭიდება გ. კოგალაძეს, გამარჯვებულს 15 მ.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევს 5 საათზე. ნ. ესებუა ითხოვს ყოველ კუთხიდან ყველა მსურველ მოჭიდავეს დ. ჭიათურაში და დ. ყვირილაში შემდეგი სანაძლეოზე: ვინც გაიმარჯვებს 15, 20, 25, 30 და 50 მანეთამდე.

(1—1) გამგე ჭიდაობისა **ნესტორ ესებუაშ.**

## ტფილისი, 14 ივლისი

ამ ჟამად დიდი და გაცხარებული თათბირია ყველა სარევოლიუციო პარტიებში. გადასაწყვეტია მეტად მძიმე საგანი: ბოიკოტი თუ მონაწილეობა მომავალ არჩევნებში. ჯერ-ჯერობით სჯა-ბაასი ცალკე ორგანიზაციებშია ყველგან, მაგრამ საკითხი საბოლოოდ მალე უნდა გადაწყდეს პარტიების კრებებზე ან დელეგატთა კონფერენციებზე. გაზეთებს ყოველ დღე მოაქვთ ცნობები ამ წინასწარ თათბირის შესახებ და ეს ცნობები ნათლად გვიხატავენ, რომ ჯერ პარტიებში დიდი ყოყმანია და გამოურკვევლობა.

ს.-დემოკრატიის ც.-კ.—ს ჯერ ამ საკითხის გამო არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. იგი მოელის კონფერენციის დადგენილებას, მაგრამ ამავე დროს ყველაფერს ამზადებს, რაც საჭიროა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ადგილობრივ ორგანიზაციების აზრი-კი სხვა და სხვა ნაირია იმის მიხედვით, რომელი ფრაქციაა უფრო გავლენიანი ამ ადგილზე: სადაც ბოლშევიკები სჭარბობენ, იქ ბოიკოტს ემხრობიან, სადაც—მენშევიკები, იქ უფრო მონაწილეობას ამჯობინებენ; კერძოთ, პეტერბურგისა და მოსკოვის პროლეტარიატი უფრო ბოიკოტს ამჯობინებს. საბოლოოდ საკითხი უნდა გადასწყვიტოს მთელის რუსეთის საპარტიო კონფერენციამ, რომელიც ივლისის ბოლო რიცხვებში უნდა მოხდეს.

ს.-რევოლიუციონერების პარტიაც ვერ დასდგომია გარკვეულს შეხედულებას. მისი ც. კ. ემხრობა არჩევნებში „პასსიურს მონაწილეობას“, ე. ი. პარტია არ იღებს მონაწილეობას, როგორც პარტია: არ გამოჰყავს თავისი კანდიდატები, არავის უთანხმდება და სხვ., ხოლო პარტიის წევრთ უფლება აქვთ თავის საკუთარ შეხედულების თანახმად მოიქცნენ, მხოლოდ მათთვის გამოცემული იქნება ზოგიერთი საზოგადო სავალდებულო დირექტივები. ორგანიზაციების უმრავლესობა კი ბოიკოტს ამჯობინებს: ზოგი აქტიურს, ზოგი პასიურს. კერძოთ, პეტერბურგისა და მოსკოვის პროლეტარიატი, რომელიც ს.-რ. პარტიაში შედის, ბოიკოტის მომხრეა. საბოლოოდ საკითხი უნდა გადასწყვიტოს პარტიის საბჭომ, რომელიც ამ თვის ოც რიცხვებში უნდა შეგროვდეს.

ნაროდნ. სოციალისტების ც. კ. და პეტერბურგის საოლქო კომიტეტები ორ ბანაკად გაყოფილან: ერთნი პასსიურ ბოიკოტის მომხრენი არიან, მეორენი—არჩევნებში ენერგიულ მონაწილეობისა. გადაწყვეტას პარტიის კონფერენციიდან მოელიან ამავ თვეში.

ებრაელთა სოციალისტურ პარტიებიდან ბუნდი უფრო მონაწილეობას ამჯობინებს, სიონისტ-სოციალისტები კიდეც შეუდგნენ საარჩევნო კომისიას, ხოლო ებრაელ მუშათა სარევოლიუციო პარტია („სერპ“-ი) ბოიკოტის მომხრეა... პოლონელთა სოც. პარტიებიდან პ. პ. ს. გადაჭრით ემხრობა ბოიკოტს, ხოლო პოლ. ს.-დ. რუსეთის ს.-დ. პარტიის გადაწყვეტას მოელის, თუმცა თვითონ უფრო ბოიკოტს ამჯობინებს.

ჩვენში მომქმედ სარევ. პარტიებიდან ცნობები გვაქვს მხოლოდ ს.-დ. და ს.-ფედ. შესახებ. ადგილობრივი ს.-დ. მომხრენი არიან არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ამ შეხედულებას დაიცავენ მომავალ საპარტიო კონფერენციაზე. ს.-ფედ. შორის კი ხმები გაიყო: ზოგი რაიონული ორგანიზაცია (ტფ., სიღნაღის, გორის და სხვ.) სრულს ბოიკოტს მოითხოვენ, პარტიის ფედ. კ—ის უმრავლესობა-კი და ზოგი რაიონული კომიტეტები (უმთავრესად ქუთ. გუბერნიაში) არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ამჯობინებენ. საბოლოოდ საკითხი უნდა გადაწყდეს ამ თვის ოც რიცხვებში პარტიის დელეგატთა კრებაზე...

ამ პირველ ცნობებიდან სჩანს, რა გამოურკვევლობა ჰსუფევს სარევოლიუციო პარტიებში სადღეისო საკითხის შესახებ. ესეთი გამოურკვევლობა ადვილად გასაგებია და კანონიერი. 3 ივნისის კანონმა ისეთი ძირითადი ცვლილება შეიტანა პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომ პარტიათა წინანდელ ტაქტიკას გადასინჯვა დასჭირდა. ხსენებულმა კანონმა ხალხი, დემოკრატია თითქმის სრულებით განდევნა საარჩევნო ასპარეზიდან და სათათბიროსკენ ფართო გზა გაუხსნა მსხვილ მემამულეთ და კაპიტალისტებს; დღეს თითქმის გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესამე სათათბირო რეაქციონერთა ბუდე იქნება, რომლისგან არავითარი ხეირი არ გამოვა. ასეთ პირობებში გასაკვირველი არაა, თუ დემოკრატიის დამცველ პარტიებ შორის კვლავ ბოიკოტის იდეა აღორძინდა.

მიუხედავად ამისა ჩვენ პირადათ მაინც არ თანაუგრძნობთ ბოიკოტის იდეას. გვესმის ბოიკოტი აქტიური, ე. ი. სარევოლიუციო პარტიებს რომ შეეძლოთ—სრულებით არ მიუშვან ხალხი საარჩევნო ყუთებთან; მაგრამ ეს დღეს შეუძლებელია და ხალხი (განსაკუთრებით სოფლად) მაინც მიიღებს მონაწილეობას; არჩევნები შესდგება სარევ. პარტიების დაუსწრებლად და „მტერსაც სწორედ ეს უნდა“... შემდეგ ამისა საკითხავია: განა პირველ სათათბიროებიდან გამოელოდნენ რასმეს რევოლიუციონერები და სოციალისტები? მაშინაც ცხადი იყო, რომ დღევანდელს პოლიტიკურს პირობებში სათათბიროს არ შეუძლია აღასრულოს დემოკრატიის მინიმალური მოთხოვნანიც-კი და, თუ სათათბიროში მიდიოდნენ, ამას სხვა აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა. საჭირო იყო საზოგადოთ ოპოზიციის გაძლიერება, აგიტაცია, საქვეყნოდ და საჯაროდ თავის მოთხოვნათა გამოტანა, მთავრობისა და რეაქციონერთა მისწრაფების გამომჟღავნება, ხალხის (უმრავლესობაში ჯერ შეუგნებელის) პოლიტიკური აღზრდა პარლამენტის ტრიბუნის საშვალებით და სხვა. ეს მიზანი დღესაც საპატიო და საყურადღებო უნდა იყოს. მართალია, მესამე სათათბირო ისეთი შედარებით თავისუფალი ტრიბუნა აღარ იქნება, როგორიც პირველი და მეორე იყვნენ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მესამეშიაც იქნება ბურჟუაზიულ დემოკრატიის ოპოზიცია, რომელსაც გაძლიერება დასჭირდება, ახლა უფრო მეტად, ვიდრე უწინ.

მესამე სათათბიროში, ჩვენის წარმოდგენით, ოქტომბრისტები შეეცდებიან საკონსტიტუციო ცენტრის დაარსებას. თუ მარცხენა ოპოზიცია (კადეტები და უკიდურესი მემარცხენენი) საკმაოდ ძლიერი იქნება, უეჭველია მემარჯვენე რეაქციონერები არ გაჰყვებიან ოქტომბრისტებს და უფრო მარჯვნივ მიიწევიან. მაშინ მთავრობა ისეთსავე გაჭირვებაში ჩავარდება, როგორშიაც პირველსა და მეორე სათათბიროში იყო, ე. ი. ზომიერ და მორჩილ ცენტრს ვერ შექმნის და იძულებული გახდება ისევ მემარჯვენეთა ბანაკს გაჰყვეს. მაშინ მესამე სათათბიროს არსებობაც უაზრო შეიქნება და პოლიტიკური მდგომარეობაც უფრო გამოირკვევა. მაშინ საბოლოოდ გამოირკვევა, რომ საარჩევნო კანონის გამოცვლაც და „პერევოროტიც“ უძლურნი არიან „საკონსტიტუციო თვითმპყრობელობის“ ან „თვითმპყრობელ კონსტიტუციის“ დამყარების საქმეში. პოლიტიკური მდგომარეობა გამოირკვევა, რადგან ცდა უნაყოფოთ ჩაივლის და მაღალი სფერები იძულებული იქნებიან ან სრულებით მოსპონ კონსტიტუცია ან და დაუთმონ ლიბერალ-დემოკრატიულს ბურჟუაზიას. ესეთი გამორკვევა მდგომარეობისა ხელსაყრელი იქნება სარევოლიუციო დემოკრატიისათვისაც.

## ახალი ამბავი

✦ **გაზეთის დაკეტვა.** 12 ივლისს საღამოთი პოლიცია მივიდა ორბელიანის ქუჩაზე გაზეთ „დილის“ რედაქციაში და გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთის გამოცემა სამხედრო წესების მოხსნამდე შეაჩერა. პოლიციელები იყვნენ აგრეთვე ხელაძის სტამბაში, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, და აწყობილ გაზეთის ასოები დროგით წაიღეს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში ხუთი წლით იგზავნება სენაკის მაზრის მცხოვრები ნიკოლოოზ ბარუხია, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. ტფ. გუბერნიაში აეკრძალათ ცხოვრება ს. ადამოვს, ა. სოლომანოვს, ო. ბაბაევს და ა. ქეთენჯიანცს. დაიკეტა ლუდხანა ს. ბანინკოსი. მიზეზი სალდათების და მოსწავლეობის შეშვებაა ლუდხანაში.

✦ **სახალხო სახლი ნაძალადევში.** 12 ივლისს, საღამოს 6½ საათზე, ნაძალადევში იყო ხუროთ მოძღვარი ბ-ნი კლდიაშვილი, რომელმაც დაათვალიერა სახალხო სახლისათვის ნაძალადეველების მიერ დატოვებული ადგილი. კლდიაშვილმა მოიწონა ადგილი და თავის მხრივ დაჰპირდა, რომ შეადგენს შენობის გეგმას (პლანს) და ხარჯთ-აღრიცხვას ქალაქის გამგეობაში წარსადგენად. იმედია, ქალაქის თვით-მართველობაც თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს.

✦ **შიო ჩიტაძის ხსოვნას.** ბრიუსელიდან მივიღეთ შემდეგი დეპეშა: „გულდამწვარნი ვიგონებთ ვერაგთა მსხვერპლს დაუვიწყარ შიოს. ბრიუსელის ქართველნი“.

✦ **ბოქაულის დაჭრის შესახებ.** ბორჩალოს ბოქაულის პეტროვჩაკის დაჭრის შესახებ შემდეგს გვატყობინებენ: 12 ივლისს, ნაშუალამევის 2 საათზედ, ბორჯომის მატარებელი ტფილისისაკენ წამოსულა. როცა მატარებელი სუმბათოვის სადგურს გამოსცილებია, მგზავრებს მეორე კლასის ვაგონიდან გაუგონიათ, რომ ვიღამაც სამჯერ რევოლვერი გაისროლა. ხმაზე გამოვარდნილიდან, დაუნახავთ იატაკზე დაჭრილი ბოქაული. უცნობი დამჭრელი, სამჯერ რევოლვერის გასროლის შემდეგ, გაქანებულ მატარებლიდან გადამხტარა. ბოქაული დაჭრილი აღმოჩნდა კისერში; ტყვია ყბაში გაჩერებულა. მატარებელი იქვე გაუჩერებიათ, მაგრამ სიბნელეში მსროლელი ისე მიმალულა, რომ ვერა გაუგიათ რა.

✦ **ხორის კონცერტები.** კონცერტები, რომელიც უნდა გამართულიყო ქ. გორსა და სურამში ბ-ნ კავსაძეს ხორის მიერ, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო დროებით გადაიდო. როგორც შევიტყეთ, ეს ხორო მომავალ შაბათ-კვირას, 21 და 22 მკათათვეს, გაემგზავრება დაბა ჭიათურასა და ბორჯომში კონცერტების გასამართავად.

✦ **სატრაქტირო დაწესებულებანი.** ტფ. ქალაქის გამგეობას გაუგია, რომ ქალაქში ბევრს სატრაქტირო დაწესებულებანი გაუღია, ხოლო გადასახადი კი ჯერ არა ყოფილა შეწერილი. გამგეობამ დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, შეამოწმოს ასეთ ტრაქტირების ვაჭრობის საქმე.

✦ **საცეხველი მანქანა.** ქუთაისის მცხოვრებს დურგალ ივანე გეორგაძეს გამოუგონებია სიმინდისა და ღომის საცეხველი მანქანა, რომელიც გამოცდის დროს კარგის ღირსებისა გამომდგარა. მანქანის ამოძრავება შეუძლიან ერთს კაცს; წყლითაც შეიძლება. მანქანა თორმეტი კაცის ოდენას აკეთებს. გეორგაძე ამ ამბავს ატყობინებს კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვს დახმარებას ამ მანქანის გავრცელების საქმეში. გეორგაძე ამასთანავე თანახმაა, გამოუგზავნოს საზოგადოებას გამოსაცდელად მანქანა. საზოგადოებამ აცნობა ივ. გეორგაძეს, რომ თუმცა ჩვენში არ შემოსულა, მაგრამ უკვე გამოგონილია საცეხველი მანქანა, რომელიც სულ 25 მანეთადა ღირს. ამიტომ სამეურნეო საზოგადოება ურჩევს გეორგაძეს ადგილობრივ ხალხის თანადასწრებით გამოსცადოს მანქანა და თუ ხალხმა მოიწონა, ადვილად გავრცელდებაო.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „იმ პირთა კრებამ, რომელიც ყიდულობს ვერაზე 348 სამოსახლო ადგილს (1 მარტის), იქონია რა მსჯელობა რამდენსამე საკითხზე, რომელიც შეკავშირებული იყო ამ ადგილების ყიდვასა და განაწილების საორგანიზაციო კომისიის მოქმედებასთან, აირჩია გარეშე პირთაგან სარევიზიო კომისია. კომისიაში მოჰყვნენ ქალაქის საბჭოს წევრნი ა. ი. ხატისოვი, ვ. იაკ. როხლინი, გ. გ. მათიკაშვილი, ლალაევი, კალანდაძე და ხახუტაშვილისა. ამ კომისიას მიანდო საორგანიზაციო კომისიამ ანგარიშების და მოქმედების რევიზია. სარევიზიო კომისია ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით კიდეც შეუდგა მუშაობას და ამისთვის სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ საორგანიზაციო კომისიასთან, აცნობ ამაზე რომელიმე წევრს სარევიზიო კომისიისას. მუშაობის გათავების შემდეგ კომისია წარუდგენს მთელ ანგარიშს მყიდველთა საზოგადო კრებას. მყიდველები მუშები და წვრილი ხელოსნები არიან. თითო ოთხკუთხი საჟენი დაფასებულია 90 კ., 50 კ., 30 და 20 კაპეიკი“.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ მე-7 ნომერი, შინაარსი: „მოსარეცხე“, ლექსი შ. მღვიმელისა (რუსულიდან); „მოწყალე ბედურები“; „ღუას თავგადასავალი“ კოტე გრძელი“; „შემწვარი ვაშლი“, (ფრანგულიდან) შურასი; „ოთხი ჭრიჭინა“, (ფრანგულიდან) ელ. წერეთლისა; „იაპონური ზღაპარი“, (თარგმანი ლექსად) ქიზისი; „როგორ სწავლობენ ცურვას წყლის ფრინველები“; (თარგმანი) ა ფუგასი! „განთიადი ახალი ცხოვრებისა, (თარგმანი) ნატალია კასრაძისა; „მთვარის მოგზაურობა“, (ანდერსენისა) სურათი მერვე გერმანულიდან; „ლეგენდა“, თ. ხუსკივაძისა; „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან“, გაგრძელება ს. გორგაძისა; „უბედო ბავშვი“, მოთხრობა მონგომერისა, თარგ. ელ. წერეთლისა; „ღარიბების მეგობრები“, (გაგრძელება) ივ. გომართელისა; გასართობი (გერმანულიდან)

✦ ქართლისაკენ ამ დღეებში დიდი წვიმები მოსულა, რის გამოც მტკვარი ადიდდა. მოვარდნილმა წყალმა მუხრანის ქუჩასთან ბორანზე მისასვლელი ხიდები წაიღო, ბორანის მიმოსვლა შეჩერდა.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებებს, ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინონ 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ სამშაბათს, 17 ივლისისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიების შემმოწმებელ კომისიისა.

✦ 12 ივლისს პოლიციამ დააპატიმრა ტფილისის მცხოვრები ვარლამ პეტროსიანცი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს ალექსანდრე პაპახანოვის მოკვლაში.

✦ 12 ივლისს, ღამის 11 საათზე, გიორგი აჯიამუდოვს ბაგრატიონის ქუჩაზე შეუვარდა 4 შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა. გაიტაცეს 15 მან., აგრეთვე რამდენიმე ნივთი და მიიმალნენ.

✦ 10 ივლისს, ღამე სუფ სარქისის ქუჩაზე მომავალ სპარსეთის ქვეშევრდომ ახმედ-ალაჯანოღლის თავს დაეცა ვიღაც შეიარაღებული კაცი, ჯიბეები დაჰკრა, ამოაცალა 14 მან. 50 კაპ., შემდეგ ახმედი თავში დასჭრა და მიიმალა. პოლიციამ მძარცველი დააპატიმრა ელექტრონის ტრამვაის პარკთან; იგი აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი კასუმოვი, რომელიც ახმედს გაძარცვასა და დაჭრაში გამოტყდა.

✦ წელს 21 ოქტომბერს რუსეთის ფრინველის მომშენებელ საზოგადოების ტფილისის განყოფილება გამართავს ფრინველის გამოფენას. გამოფენა 21 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# პრესსა

„ნოვ. ვრ.“ ჩაგრულ ერთა უფლებას იცავს. ავსტრო-უნგრეთში სლავიანთა უფლება დათრგუნეს გერმანელებმაო, სწუხს სუვორინის გაზეთი და უმატებს: სლავიანები არასოდეს არ უნდა შეურიგდნენ თავის დაჩაგრულ მდგომარეობას და არ უნდა მოსპონ ბრძოლა იმ დღემდე, სანამ არ განახორციელებენ თავის სამართლიან მოთხოვნათ. ხოლო ეს მოთხოვნანი შეეხებიან არა მარტო ენების თანასწორ უფლებობას, არამედ ცხოვრების ყოველ მხარეში ეროვნულ სამართლიანობის აღდგენას...

საუცხოვოა: **შინ** „ჭეშმარიტ რუსების“ პოლიტიკის დაცვა და ყველა არა რუს ერების განადგურება; **გარეთ** კი ჩაგრულ ერთათვის სამართლიანობის მოთხოვნა და ამ ერთა გამოწვევა დაუცხრომელ ბრძოლისათვის მჩაგვრელებთან!.. შემდეგ, „ნოვ. ვრ.“ ეხება ავსტრიაში ახლად შემოღებულ საყოველთაო საარჩევნო უფლებას და ამბობს, თუმცა ამ კანონმა მეტი უფლება მისცა ჩაგრულთ და უფრო შეაძლებინებს მათ თავის ინტერესების დაცვას,

მაგრამ მაინც შორს არის იდეალისაგან და სავსებით უზრუნველ ვერ ჰყოფს ეროვნულ მოთხოვნათა სამართლიანად გადაწყვეტას...

საუცხოვოა: **შინ 3** ივნისის საარჩევნო კანონის მოწონება და არა-რუსთა პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის ქადაგება; **გარეთ კი** საყოველთაო საარჩევნო უფლების დაწუნებაც იმიტომ, რომ შორს არის იდეალიდან და ცოტააო!..

* *
*

თავ. მეშჩერსკი, როგორც ყოველთვის, პირდაპირობას აჩვენებს და სასტიკად ჰკიცხავს ორპირობას. ვერ გაგვიგია, როგორი წესწყობილება გვაქვს დღესაო: თვითმპყრობელობა თუ კონსტიტუცია. ასეთი ყოფა შეუძლებელი არისო და დროა საბოლოოდ გამოვარკვიოთ რა გვინდა—ძველი თუ ახალი წესიო!.. მოსაწონი სურვილია, მაგრამ თვით მეშჩერსკის რაც სურს, იმასაც ორპირული ხასიათი აქვს:

საჭიროა: 1) კანონმდებლობის საქმე ორ ნაწილად გაიყოს: კანონების დამზადება-შემუშავება—ერთი, ხოლო კანონების განხილვა, თათბირი კანონების შესახებ—მეორე; 2) სახ. სათათბიროს უნდა მიენიჭოს მხოლოდ მეორე უფლება, ე. ი. კანონების გამო თათბირი; 9) კანონების დასამზადებლად უნდა დაარსდეს მუდმივი დაწესებულება მთავრობის წარმომადგენელთა და მოწვეულ პირთაგან. მაშინ აღარც პოლიტიკური პარტიები იქნება, აღარც დღევანდელი ბრძოლა, აღარც საარჩევნო ასპარეზზე მიხლა-მოხლა; ყველაფერი წყნარად და მშვიდობიანად იქნება...

რა საჭირო მარტივ საქმის ასეთი გართულება. თავ. მეშჩერსკი უფრო ლოგიკურად მოიქცეოდა, სავსებით ძველის წესის აღდგენა რომ მოეთხოვა...

# პროვინციის ცხოვრება

**სოფ. საბე** (შორაპნის მაზრა). სოფლის მცხოვრებმა აზნაურმა მოსე ჩიკვაიძემ საზიზღარი მკვლელობა ჩაიდინა. ის ამ რამდენისამე ხნის წინად გაგზავნილი იყო ციმბირში. იქიდან ცოლად წამოიყვანა დაბრუნებისას რუსის ქალი. ბოლოს დროს ყვირილაში გამართა სარდაფი და კარგი ვაჭრობაც ჰქონდა. 1 ივლისს მას თავისი ცოლი მთაში წაუყვანია ვითომდა სათევზაოდ მეზობლის ქალებთან ერთად, სამჯერ რევოლვერი უსროლია როცა გაუმარტოვებია, და რომ არ მომკვდარა, მერე ხანჯლით ყელი გამოუჭრია და მკვდრის გვამზე დიდი ხის ტოტები დაუდვია. ამის შემდეგ არხეინად წასულა თავის სარდაფში სავაჭროდ. მკვლელობის ხმამ ხალხამდის მიაღწია. ხალხი მეტად აღშფოთებულია ამ მკვლელობით. პოლიციაც ფეხზე დადგა, მაგრამ მკვლელი მიიმალა. შეიპყრეს იმისი ძმა, ისიც ნაციმბირალი. სოფელი დარაჯებით სავსეა.

სოფელ ნუნისში ამ ორის დღის წინ თავს დაესხნენ ნუნისის დითონის წყლებზე სამკურნალოდ მოსულს ხალხს... წაიღეს ფული და ძვირფასი ნივთები. ხალხი უვნებლად გადარჩა. იმავე ღამეს თავს დაესხნენ ცნობილი კოლა ნემსაძის მამას, აზნაურს იაგორ ნემსაძეს და, რაც რამ ფული ჰქონდა, წაართვეს. პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

ამას წინად სოფ. ზვარეში მოჰკლეს გლეხი დავით დონდაძე, სუმბათიშვილის მოურავი. მას თურმე იჯარის ფასი კარგა ბლომად შეკრებილი ჰქონია გლეხებისაგან და დამზადებული მებატონისთვის წასაღებად. მოკვლის შემდეგ ეს ფული სადღაც მიჩქმალეს. მებატონეს კი ფული მოურავისაგან, როგორც ამბობენ, არ მიუღია. გლეხებს ეშინიათ, ვაი თუ ხელ-მეორედ გადაგვახდევინონო. ჭორისუფლები კი გაიძახიან, მკვლელებმა მოკლულს ჯიბე მოსჭრეს და ფულიც თან წაიღესო, რაც, როგორც ამბობენ, მართალი არ არის. ეს ხმა მართალი არაა, მაგრამ გლეხებს მაინც გაუწყდეტა მოლოდინი. სოფლის ზვარის მცხოვრებლებს მოკლულ დავით დონდაძის ცოლშვილის სასარგებლოდ პოლიციამ 1500 მანეთი გადასახადი შეაწერა. **აქაური.**

**ოზურგეთი** (გურია). 8 ივლისს ს. შემოქმედში დაიბარეს ხალხი. ბოქაულმა გამოუცხადა, გადაიხადეთ დრამა, დარჩენილი ნედოიმკები და ამ წლის გადასახადი 20 ივლისამდისაო. ბოქაულისთვის ხალხს პასუხი არ მიუცია.

ს. დიხაშხოშიც ამნაირი გადასახადი მოსთხოვეს ხალხს.

დაბა ჩოხატაურში ამ რამდენისამე დღის წინად ს. ჩხაიძის ცოლმა მოჰკლა მარკოზ ჟღენტი.

ამ დღეებში ოზურგეთის მცხოვრებლებს გადაახდევინეს ჯარიმა 100 მანეთი ვიდაც ახალ სალდათის [illegible]

ამ დღეებში აქ მოელიან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს—ალიხანოვს. [illegible]

# მუშების ცხოვრება

**ათი ათასი მუშის გაფიცვა.** სამ ივნისს ქალაქ კოსტრომაში დაიწყო გაფიცვა საფეიქრო ქარხნების მუშებისა. გაფიცულია სულ ექვსი ქარხანა, სადაც ათი ათასი მუშაა. მუშებმა მოთხოვნილებანი წარადგინეს. გაფიცვის მიზეზი ეს არის და აგრეთვე ის, რომ გაფიცვის წინა დღეებში შეიპყრეს პროფესიონალურ კავშირის გამგეობის რამდენიმე წევრი. გაფიცულნი, სხვათა შორის, მოითხოვენ: ბინის ქირას ყველასათვის—დიდისა და პატარისა, ქალისა და კაცისთვის,—თვეში სამ მანეთს; ხელ-ფასის მომატებას: მცირე წლოვანებს—არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მოზარდნი—არა ნაკლებ 15 მანეთისა, დიდები—არა ნაკლებ 25 მანეთისა; შაბათობით მუშაობა სამ საათზე გათავდეს, ხოლო ორშაბათობით იწყებოდეს 8 საათზე, ისე რომ მუშებს კვირაში 48 საათი შეეძლოთ დასვენება; ჯარიმების გაუქმებას; მუშაობის სასანიტარო პირობების გაუმჯობესებას; ავადმყოფობის დროს სრულ ჯამაგირს; ფეხმძიმე ქალების დასვენების ათის კვირით; ქარხნებში ბინების მოწყობას მუშათა ბავშვებისათვის.

**არჩევნები და პროფესიონალური კავშირი.** მოსკოვში ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა.

**ფმუშების დადგენილება გაფიცვების შესახებ.** მოსკოვში ყრილობა მოხდა მოსკოვისა და ახლო მახლო მდებარე ქარხნების წარმომადგენლებისა. სალაპარაკო საგანი გაფიცვები იყო. ყრილობამ სურვილი გამოსთქვა, რომ გაფიცვები მუშებმა მშვიდობიანად ჩაატარონ ხოლმე.

### თავის მართლებაც ასეთი უნდა!

(პასუხად ფ. მახარაძეს)

ხარბინიდან გამოგზავნილ ფულის შესახებ ბ-ნმა მახარაძემ ვრცელი წერილი მოათავსა „ისარის“ მე-145 ნომერში. იმის ნაცვლად, რომ ბ-ნმა მახარაძემ თავი გაიმართლოს, იგი, მეტად გამწარებუ-

# ფელეტონი

## თანამედროვე საკითხები

### IV *)

**სარევოლიუციო სინდიკალიზმი.**

თითქმის ყველა სოციალისტები და მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც თავიანთ თავს რევოლიუციონერებს უწოდებენ. რასა ნიშნავს სოციალისტების რევოლიუციონერობა? იმას, რომ სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციონურის, და არა მშვიდობიანის, ლეგალურის, კანონიერის საშუალებით. ყველა რევოლიუციონურ პარტიასთან ერთად სოციალ-დემოკრატებიც იმას გაიძახიან, რომ ჩვენც რევოლიუციონერები ვართ, ჩვენც, თანახმად ჩვენის „მეცნიერულის“ მსოფლ-მხედველობისა, ვაღიარებთ, რომ მშვიდობიანის საშუალებით დღევანდელ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების ძირითადი რეორგანიზაცია ყოვლად შეუძლებელიაო. ძალიან ბევრს ასეთი ლაპარაკი სოციალ-დემოკრატებისა სრულს ჭეშმარიტებად მიაჩნია. ბევრს ისეთი წარმოდგენა დაებადა სოციალ-დემოკრატებზე, თითქოს იგი მართლაც რევოლიუციონურს ნიადაგზე იდგეს. ამისთანა შეხედულების გავრცელებას განსაკუთრებით ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ რუსეთში აბსოლიუტური მმართველობაა გამეფებული და რუსეთის სოციალ-დემოკრატია იძულებული ხდებოდა აბსოლიუტიზმთან საბრძოლველად რევოლიუციონურ ტაქტიკისთვის მიემართნა.

მაგრამ სულ სხვანაირ მდგომარეობაში იმყოფება იმ ქვეყნების სოციალ-დემოკრატია, სადაც პარლამენტარიზმი უკვე შემოღებულია. პირველ თავში ჩვენ საკმაოდ ნათლად გამოვარკვიეთ, რომ ყველგან, სადაც პარლამენტალური წეს წყობილება არსებობს, სოციალ-დემოკრატიამ თავისი რევოლიუციონური ხასიათი სრულიად დაჰკარგა და სავსებით ლეგალურ პარტიად გადაიქცა, თუმცა ფრაზეოლოგია ისევ ძველებური—რევოლიუციონური დარჩა. ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიამ ბრძოლის ერთად-ერთ საშუალებად საარჩევნო უფლება აღიარა. ამას კი ლოღიკურის აუცილებლობით პარტიის გაოპორტიუნისტება მოჰყვა.

სოციალისტური პარტია კი ყოველთვის რევოლიუციონურს ნიადაგზე უნდა იდგეს; მას ძალიან კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ლეგალურის საშუალებით, თუნდაც ეს ლეგალიზმი პარლამენტალურ ბრძოლაში გამოიხატოს, სოციალიზმის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია. სოციალიზმი რევოლიუციის შვილია, პარლამენტარიზმი სოციალიზმს ვერ განახორციელებს. ამიტომ, ყოველი სოციალისტური პარტია, თუ მას სურს თავისი რევოლიუციონური ხასიათი მტკიცედ შეინახოს, თავის იდეალის განსახორციელებლად კანონმდებლობის გარეშე უნდა მოქმედებდეს, განურჩევლად იმისა, ეს კანონმდებლობა ერთი კაცის, მონარქის, უფლებას შეადგენს, თუ პარლამენტისას.

სოციალ-დემოკრატების ოპორტუნისტულმა პოლიტიკამ ბევრი სოციალისტი ჩამოაშორა მას. მუშათა ორგანიზაციები ზოგან უკვე ჩამოშორდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ზოგან კი ისეთი მდგომარეობაა, რომ დღეს არა ხვალ ჩამოშორდებიან. საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციები უკვე ჩამოშორდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და თავიანთ საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას დაადგნენ. საფრანგეთის პროფესიონალური მოძრაობა, რომელსაც „სარევოლიუციო სინდიკალიზმს“ ეძახიან, ისეთი საყურადღებო მოვლენაა თანამედროვე მუშათა მოძრაობაში, რომ მისი მოკლე ისტორიის გადმოცემა და დახასიათება აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას საფუძველი დაედო 1879 წელს, ქ. მარსელის მუშათა კონგრესზე. პარტია არსებითად მუშებისა უნდა ყოფილიყო და ამასთანავე ერთად რევოლიუციონურიც. პარლამენტში მონაწილეობის მიღებაც ამ დროს გედისტებს მხოლოდ აგიტაციისთვის უნდოდათ. „საქმე იმაში კი არ არის,—ამბობდა 1880 წ. ჟიულ გედი,—რომ პარლამენტის კარები შევანგრიოთ და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი შევცვალოთ მუშათა პარლამენტარიზმად, რომელსაც ისეთივე დაცემა და უნაყოფობა მოჰყვება, როგორც პირველს“.

ასეთი იყო შეხედულება სოციალისტურ პარტიის ლიდერებისა პარლამენტარიზმზე, მაგრამ საზოგადო უბედურებას იგი მაინც ვერ გადარჩა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, პარტიას თავისი კლასიური ხასიათი, როგორც შედგენილობით, ისე იდეიურის მიმართულებით, სრულიად ეკარგებოდა. პარტიის სათავეში უნიჭო ინტელიგენტები ექცეოდნენ და მუშურ მოძრაობაში პოლიტიკანური ელემენტი შეჰქონდათ. ამისთანა გარემოებამ ძალიან ცუდად იმოქმედა საფრანგეთის მუშებზე, რომლებიც თავს დათან თან ანებებდნენ გედის პარტიას. აი, ამ ნიადაგზე დაიბადა **სინდიკალური მოძრაობა,** რომელმაც თავის მიზნად თანამედროვე კაპიტალისტურ წეს-წყობილების დანგრევა გამოაცხადა, საშუალებად კი—პირდაპირი მოქმედება (l'action directe).

რადგან სინდიკალიზმი მთელ თავის იმედებს პარლამენტის გარეშე მოქმედებაზე ამყარებდა, ანარქისტებმა მუშაობა დაიწყეს ამათში და მალე თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს. პარლამენტის გარეშე მოქმედება, რევოლიუციონიზმი და ანარქიზმი მუშათა თვალში სინონიმებად გადაიქცა. მუშას კარგა ხანს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ, თუ იგი, რევოლიუციონურს ნიადაგზე სდგას, აუცილებლად ანარქისტულ აზრებსა და იდეალებსაც უნდა აღიარებდეს. ამისთანა წარმოდგენის გავრცელებას განსაკუთრებითის გარემოება უწყობდა ხელს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტარიზმი უკვე შემოღებული იყო, რევოლიუციონურ სოციალიზმის მომხრეებად მარტო ანარქისტები გამოდიოდნენ. ბოლო ხანებში გარემოება იცვლება: პოლიტიკის მიმართ სარევოლიუციო სინდიკატები მტკიცე ნეიტრალურ ნიადაგზე სდგებიან, თანდათან ანარქისტების გავლენისაგან თავს აღწევენ და თავიანთ საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას ადგებიან.

1886 წელს დაარსდა „მუშათა სინდიკატების ნაციონალური ფედერაცია“, რომელიც სავსებით საფრანგეთის მუშათა პარტიას მიემხრო და მისი პრინციპები თავის სახელმძღვანელო პრინციპებად გაიხადა. ამ ორგანიზაციაში განსაკუთრებით პარტიის წევრები შედიოდნენ და ამიტომ მის კონგრესებზედაც განსაკუთრებით ამ ფრაქციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ასეთი კონგრესები გაიმართა მონპელიესა, მარსელსა, ბარდოსა, ნანტსა, კალესა და სხვაგან.

უკმაყოფილო ელემენტები ამ ორგანიზაციიდან გადიოდნენ და აარსებდნენ ბირჟებს, რომლებსაც, კომერციულ ბირჟებისაგან გასარჩევად, შრომის ბირჟებს ეძახდნენ. თავდაპირველად ასეთი ბირჟა ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ბოლოს გამრავლდნენ და თანდათან მუშათა ორგანიზაციებზე ძალიან დიდს გავლენას ახდენდნენ.

1892 წელს, სენტ-ეტიენის კონგრესზე აქამდის გაფანტული ბირჟები შეერთდნენ და დაარსეს „შრომის ბირჟათა ფედერაცია“. ეს ორგანიზაცია ანტიპარლამენტარისტულ ტენდენციებით იყო გაჟღენთილი და პოლიტიკურ პარტიების მოქმედებას მტრულად უყურებდა. ამ ორი ტიპის ორგანიზაციის შორის ბრძოლა იყო ატეხილი. მაგრამ ერთმა გარემოებამ, სახელდობრ, მთავრობის მიერ პარიზის შრომის ბირჟის დაკეტვამ, ყველა ორგანიზაციის შეერთება აუცილებელი გაჰხადა. გაიმართა შეერთებული კონგრესები. 1894 წლის კონგრესზე იქ, ნანტში, სინდიკატთა ფედერაციის მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, კონგრესს თავი დაანებეს, მაგრამ ამის შემდეგ მან ხანგრძლივად აღარ უარსებნია; მან ცხოვრების ალღო ვერ აუღო და ბუნებრივის სიკვდილით მოკვდა. 1895 წელს, ლიმოჟის მუშათა კონგრესზე კი საფუძველი დაედო ახალს ძლიერ ორგანიზაციას, „შრომის საყოველთაო კონფედერაციას“, რომელმაც სინდიკატთა ფედერაციები და შრომის ბირჟები შეაერთა. სინდიკატთა ფედერაციები პროფესიონალური ორგანიზაციები იყო, შრომის ბირჟები კი — ტერიტორიალური. დღეს ეს ორგანიზაცია ძლიერ ორგანიზაციად ითვლება და ყოველ სოციალისტის მოვალეობას შეადგენს, რომ მას ანგარიში გაუწიოს.

რაც უფრო ძალიან იზრდება მნიშვნე-

*) იხ. „ისარი“ № 151

ლი, ლობე-ყურეს აწყდება. ბ-ნ მახარაძის წერილი გესლითა და ბრაზით არის შეზავებული. ბ-ნი მახარაძე ჩემს პიროვნებასაც კი ეხება. კარგად მოგეხსენებათ, ბ-ნი მახარაძე პუბლიცისტია და მასთან ბელადი და აბა მე სად შემიძლიან მასთან გამოკამათება! ესეც რომ არ იყოს, იგი პიროვნების ხელ შეუხებლობის მქადაგებელია და მე იმის პიროვნებას როგორ შევეხები, თუმცა ბ-ნი მახარაძე არა თაკილობს სხვის პიროვნების გათელვას... მე არა მსურს, ლანძღვა-გინებით უპასუხო ბ-ნ მახარაძეს. ლანძღვა-გინება მისი საქმე ყოფილა და მისთვისავე დამილოცნია.

ბ-ნი მახარაძე ამბობს: „კირვალიძე თავიდანვე ასცდა სწორ გზას და თავიდანვე სიცრუის მორევში ჩაეფლა". ჩვენ კი უპასუხებთ ბ-ნ მახარაძეს, რომ თვით იგი ასცდა სწორ პასუხის გაცემას და მისი პასუხი უფრო ექვს ჰბადებს როგორც ჩემს გულში, ისე მკითხველ საზოგადოებაში, თუ არა აბა რა პასუხია: „ჩემ ცოლს გადაეცა ნაცნობ პირისათვისაო, ან კიდევ: „ციხიდან რომ გამოვედი, მე სრულებით გადამავიწყდაო". ჩვენც მაგასა ვჩივით, ბ-ნო მახარაძე, რომ ერთხელ არ ინებეთ არც თქვენ, არც თქვენმა ცოლმა და არც იმ თქვენმა ნაცნობმა პირმა ერთ-ერთ ჩვენს გაზეთში გამოცხადება, რომ ხარბინიდან ამდენი და ამდენი შემოწირულება მივიღეთ დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდაო. განა მოვალე არ იყავით შემომწირველების წინაშე? მაგრამ რაღაც მოსაზრებით ეს თქვენ არ ისურვეთ.

ეს კიდევ არაფერი: ერთ წელიწადზე მეტია, გაზეთ „შრომა"-ში გაკვრით მოვიხსენიე ხსენებული ფული. რომ ყველასათვის აშკარა გავხადო, რამდენად მართალი ვარ მე, მოვიყვან იმ წერილს, რომელიც მე „შრომის" მე-43 ნომერში დავბეჭდე შარშან 28 მაისს, ესე იგი ამ ერთი წლისა და ორი თვის წინად. აი სიტყვა-სიტყვით ეს წერილი:

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის მახლობელ ნომერში დაბეჭდოთ ეს პატარა წერილი.

ქალაქ ხარბინში სხვა და სხვა დროს ქართველთა მიტინგზე შეიკრიბა ხელის მოწერით ფული, დაახლოვებით 6000 მანეთამდე, ჩვენი ქვეყნის დაზარალებულთა მისაშველებლად. ეს ამოდენა ფული ებარა რამდენსამე კაცს. ხარბინის ქართველებმა დღესაც არ იციან, რა უყვეს ამ ფულს. ამის გამო სხვა და სხვა ჭორი გავრცელდა იმ პირების შესახებ, რომელთაც ის ფული ებარათ. საჭიროა თავიდან აიცდინონ ცილისწამება, თუ სიმართლე მიუძღვით ქართველ საზოგადოების წინაშე. ვ. გ—ძე.

როგორც ამ წერილიდანა სჩანს, მე მაინტერესებდა საზოგადოდ ხარბინში შეკრებილ ფულის ბედი. გავიდა რამდენიმე თვე და კრინტი არავინ არ დასძრა. „მოგზაურ"-ზე ლაპარაკი ჩამოვარდა მხოლოდ ამ წერილის დაბეჭდვის ხუთი-ექვსი თვის შემდეგ. თუ ბ ნ მახარაძეს სიმართლე ჰქონდა, რატომ მცირედი პასუხი მაინც არ გაგვცა?

ბ-ნი მახარაძე ჩემს წერილსაც-კი ამახინჯებს. აბა დაუგდეთ ყური, რას ამბობს: მისი წერილი (ე. ი. ჩემი) ჩვენ იმის საბუთსაც გვაძლევს, თუ ვისთან, რავარ წარმომადგენელთანა გვაქვს საქმეო" (საწყლები მუდამ წარმომადგენლობა ელანდებათ!) ამაშიაც სცდება ბ ნი მახარაძე. მე ჩემი თავი არსად არასოდეს წარმომადგენლად არ დამისახავს და მე თუ ისა ვთქვი, რომ ამხანაგებმა დამავალეს მეთქი, მე მისი საბუთი მაქვს, რომ თხუთმეტამდე კაცმა მთხოვა, შემეტყო რამე ფულის შესახებ. ესეც რომ არ იყოს, განა კერძოდ მე კი უფლება არა მქონდ შეკითხვისა? ჩემი წვლილიც ხომ ურევია შეწირულ ფულში? ბ-ნი მახარაძე ამბობს: კირვალიძეს ფულის შეგროვებაში არ მიუღია მონაწილეობაო. ჯერ ერთი, ეს ფული ხელის მოწერით არ შეგროვილა. კრება რომ დაიშალა, ჰიმკარში დაჯდა სამი-ოთხი კაცი და ვისაც რა სურდა, იმას აძლევდა, ასე რომ დათვლაზე კანტროლს ყველა ხომ ვერ გაუწევდა, რომ მაშინვე გვცოდნოდა, რამდენი მოგროვდა. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ ფულის შეგროვებაში მონაწილეობა არ მიმიღია, ეს მხოლოდ მახარაძისებური ცილის წამება და ჭორია, თორემ კარგად იციან ხარბინელმა ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა, რაში მივიღე მონაწილეობა და რაში არა.

კიდევ ქვევით ამბობს ბ-ნი მახარაძე „კირვალიძემ ქორიკანობით ხელი შეუწყო იმ ზღაპრის გავრცელებას, რომ ვითომ ზემოდ აღნიშნული ფული გურულების სასარგებლოდ იყოო". რომ მე „უნამუსო ჭორი" ან ზღაპარი არ გამივრცელებია და რომ ხარბინიდან გამოგზავნილი ფული დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ იყო. ამის საბუთს, ჩემს წერილთან ერთად, რედაქციაში ვარდგენ იგი ამხანაგებმა გამომიგზავნეს რუსეთიდან.*)

რაც შეეხება იმას, რომ გადაწვის შესახებ არა იცოდნენ რა ხარბინელებმა ესეც მართალი არ არის, რადგან დეპეშების საშუალებით მალ-მალე ვტყობილობდით ჩვენი ქვეყნის აწიოკებას. დასასრულ, ბ-ნი მახარაძე რაღაც „ვაჟბატონების წასისიანებას" იხსენიებს. ამაშიაც სცდება ბ-ნი მახარაძე: ნურც ისე ბრმა ვგონივართ, რომ სხვების „წასისიანებას" ყური დაუგდოთ და ჩვენი ჭკუით არ ვიმოქმედოთ.

ერთის სიტყვით, ბ-ნი მახარაძის წერილიდანა ვცანით, რომ ფული მიიღეს და „თავის დანიშნულებას" მოჰხმარდა, მაგრამ არა იმას (დაზარალებულ ქართველობას), ვისთვისაც შეგროვდა ფული ქ. ხარბინში. ვ. კირვალიძე.

*) ვ. კირვალიძემ ამ წერილთან ერთად წარმოგვიდგინა გაზეთი „Молодая Россія"-, რომელიც ხარბინში გამოდიოდა, მე-12 ნომერი (7 მარტი). ამ ნომერში შემდეგი წერილია მოთავსებული (ვთარგმნავთ სიტყვა-სიტყვით):

წერილი რედაქციის მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ [illegible] საზოგადოებას ქალ. ხარბინში, რომ ფული, 2006 მან.—დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ შეკრებილი ჩემ მიერ 1905 წლის ოქტომბერში, ტელეგრაფით გაეგზავნა „მოგზაურის" რედაქციას ტფილისში. კვიტანცია 1905 წლ. 5 ნოემბრის თარიღით რუს.-ჩინ. ბანკის ხარბინ. განყ. № 27534 ინახება ბიბლიოთეკა-სამკითხველოში. **ივანე სიმონის ძე იორამიშვილი.**

რედაქცია.

## რუსეთი

✦ **უწესობა სატუსაღოში.** 7 ივლის ეკატერინოსლავის სატუსაღოში კატორგა-გადაწყვეტილი ტუსაღები თავს დაესხნენ ზედამხედველს და რევოლვერი წაართვეს. მოირბინა მეორე ზედამხედველმა და რევოლვერით დასჭრა სამი ტუსაღი. დარაჯებმა მსწრაფლ მოიყარეს თავი და ტუსაღები ოთახში შეაგდეს. გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა ორი ყუმბარა და ორი რევოლვერი.

✦ **სოც.-დემოკრატები.** სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოსკოვის კომიტეტი მესამე სათათბიროში არჩევნების უარმყოფელი, ბოიკოტის მომხრეა; ხოლო ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის: სარაიონო დელეგატების კრებ-ზე იგი ხელ-ახლა განხილული იქნება.

✦ **სინოდის განკარგულება.** გაზეთ „რუსსკ. ვედ."-ს აცნობებენ, რომ უწმინდესმა სინოდმა განკარგულება გაუგზავნა ყველა გუბერნიის ეპისკოპოსებს, რომლითაც ავალებს ზომები მიიღონ, რათა სოფლებსა და ქალაქებში მღვდლებმა ეკკლესიებში სიტყვები არ წარმოსთქვან პოლიტიკური ხასიათის საკითხებს შესახებ. ყველა მიმართულების მღვდლებს უნდა აუკრძალოს პოლიტიკური ხასიათის ქადაგებაო,—ჰბრძანებს უწმინდესი სინოდი. ამ განკარგულების მიზეზად ის გარემოება მოჰყავთ, რომ ზოგიერთმა მღვდელმა ეკკლესიაში სამღვდელოებისადმი მინიჭებული სიტყვის თავისუფლებით ისარგებლა და სარევოლიუციო აგიტაციას ეწეოდაო.

✦ **პოლიციელების გაკიცხვა.** ს.-პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა განკარგულებით მიმართა პეტერბურგის პოლიციას, რომელშიაც აღნიშნული აქვს ის გარემოება, რომ პოლიციელებს არა ერთხელ გამოუცხადეს, ქალაქის მკვიდრთ ზრდილობიანად უნდა მოექცეთო, მაგრამ ჩაგონებამ არ იმოქმედა და ამ ბოლო დროს გახშირდა პოლიციელთა შორის ბრიყული ქცევაო. გრადონაჩალნიკი ხელახლა აგონებს პოლიციელებს თავის წინანდელ განკარგულებას.

✦ **სამედიატორო სასამართლო.** პოლონეთში დაარსდა ახალი თავისუფალი სამედიატორო სასამართლო, ეგრედ-წოდებული „სასამართლო მოქალაქეობრივი პატიოსნების", რომლის მიზანია გაავრცელოს საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპები და პატივისცემა მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა მიმართ. სასამართლო მედიატორეობას გასწევს მუშათა და მეპატრონეთა შორის უთანხმოების დროს; იკისრებს სამოქალაქო საქმეების განხილვას და მედიატორული წესით გაარჩევს საქმეებს, რომელნიც ამა თუ იმ მკვიდრის პატიოსნებას შეეხება. თავის განაჩენებში სასამართლო დაემყარება მხოლოდ სიმართლეს და საზოგადოებრივ აზრს. მოსამართლეებად არჩეულ იქნებიან თავისი პატიოსნებით და მიუდგომლობით ცნობილი პირები.

✦ **უწესოებანი სოფლად.** სამხრეთ რუსეთიდან სწერენ გაზ. „რეჩ"-ს, რომ იქ აუარებელი მუშა ხალხი მოდის სამუშაოს საძებრად და სოფელს აწყდება, მემამულეების ადგილებს ეტანება. ადგილობრივი მკვიდრი გლეხები ერთობ შევიწროებულნი არიან უმუშევართა შემოსევის გამო. ქირა ძრიელ დაეცა. გახშირდა გაფიცვები, რომლის მეთაურებს ადმინისტრაცია სასტიკად სდევნის და არავითარ [illegible] მოებას, რომ კანონის ძალით საქმეები სოფლად გაფიცვების შესახებ სამოქალაქო სასამართლოებს ექვემდებარება. მემამულეები მხარს უჭერენ ადმინისტრაციას, რის გამო უფრო მწვავდება საქმე: ცნობები მოდის სხვა და სხვა ადგილებიდან, რომ მემამულეთა სახლებს ცეცხლს უ იდებენ მუშები და გლეხები.

✦ **უწესოება კიევის გუბერნიაში.** კიევიდან სწერენ გაზ. „ტოვ."-ს, რომ სოფელ მოროზოვკაში პოლიციელთა და გლეხთა შორის შეტაკება მოხდა ერთი საადგილ-მამულო საქმის გამო. პოლიციელმა მოჰკლა ერთი გლეხი და მეორე დასჭრა. გლეხებმა სცემეს პოლიციელს და დაამსხვრიეს მემამულის სახლი. დატუსაღებულია 14 გლეხი.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

1907 წელსა მკათათვის 1-სა დღესა შევიკრიბენით ავლაბრის მეშვიდე საპოლიციო რაიონის წვრილი ვაჭარნი რიცხვით 118 კაცი და ვიქონიეთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ნაირათ მოვაწყოთ საქმე, რომ წვრილმა მოვაჭრეებმა ერთსა და იმავე დროს გავაღოთ და დავკეტოთ ხოლმე საწვრიმალო დუქნები; ჩვენ შორის ზოგნი აღებენ დუქანს დილის 5—6 საათიე და კეტავენ საღამოს 10—11 საათზე და ზოგნი კი დილის 7—8 საათზე და კეტავენ საღამოს 7 საათზე, ამით ჩვენ შორის იბადება უკმაყოფილება.

მივიღეთ-რა მხედველობაში, რომ:

1. საზოგადოთ ავლაბარში მცხოვრებნი მუშები არიან, რომელნიც ავლაბრიდან მიდიან ხოლმე სამუშაოთ დილის 6 საათზე, ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში და ბრუნდებიან სამუშაოდან საღამოს 7—8 საათზე.

2. რომ ავლაბრიდან ყოველ დღე კახეთისაკენ მიემგზავრებიან ხოლმე ხალხი დილის 6—7 საათზე.

3. აგრეთვე ის, რომ სოფლელებიც დილაადრიან მიდიან ხოლმე კახეთისაკენ და მათთვის აუცილებელი საჭიროა საწვრიმალო და სანოვაგის ყიდვა.

4. და აგრეთვე, მივიღეთ რა მხედველობაში მუშათა 8 საათის სამუშაო დღე, ერთხმათ დავადგინეთ:

1. წვრილ ვაჭართა დუქნები ავლაბარში გაიღოს ყოველ დღე დილის 6 საათზე და დაიკეტოს საღამოს 9 საათზე.

1. კვირა და უქმე დღეებით დუქნები გაიღოს დილის 6 საათზე და დაიკეტოს ნაშუადღევის 2 საათზე.

3. იმ წვრილ ვაჭრებს, რომელთაც სურთ ივაჭრონ ხილით, ზემო აღნიშნულ ჩვენ მიერ შემუშავებულ დროს შემდეგ, ვალდებულნი არიან: ან თავიანთი ხილი გამოიტანონ ბაზარში; ანუ დაიქირაონ ცალკე დუქანი.

4. საღამოს 9 საათის შემდეგ კვირაობით ნაშუადღევის 2 საათის შემდეგ მალვით ვაჭრობა სასტიკათ აკრძალულია.

5. დახლიდრები და ნოქრები ჩვენი დუქნებისა [illegible] 8 საათზე და იმყოფებოდნენ საღამოს 6 საათამდე.

6. კვირა-უქმე დღეებში დახლიდრები და ნოქრები სრულიად თავისუფალნი არიან მუშაობისაგან.

7. ამ ჩვენ დადგენილებას ხელს ვაწერთ 118 კაცი წვრილი მოვაჭრენი; ამოვირჩიეთ ჩვენ შორის 8 კაცი, ისინი ვალდებულნი არიან ზემოხსენებული დადგენილებანი მოიყვანონ სისრუ-

---

ლობა სინდიკალურ მოძრაობისა, სხვა და სხვა მიმართულების სოციალისტები სცდილობენ მით უფრო მეტი გავლენა იქონიონ მათზე; მაგრამ, დღეს-დღეობით მაინც, სინდიკატები ამ იერიშს მაგრად უხვდებიან და იმდენს ახერხებენ, რომ თავიანთ საკუთარ, დამოუკიდებელ პოზიციას არა შორდებიან. მაგრამ ეს კიდევ, რასაკვირველია, იმას არა ნიშნავს, ვითომ თვით სინდიკატებში სხვა და სხვანაირი მიმდინარეობა არ არსებობდეს. პირ-იქით, მასში რამდენიმე მიმდინარეობა არსებობს, და თვითეული მათგანი თავისკენ მიიწევს. აზრთა ამ სხვა-და-სხვაობამ განსაკუთრებით ამიენის კონგრესზე იჩინა თავი. ამ კონგრესზე ერთნი ამბობდნენ, რომ სინდიკატებმა პოლიტიკურ სოციალისტურ პარტიებთან კავშირი არ უნდა გასწყვიტონ, მათი მჭიდრო კავშირი აუცილებელიაო. მეორენი ამტკიცებდნენ, ჩვენ მტრულად უნდა მოვექცეთ პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, სოციალისტურ პარტიის პარლამენტალური პოლიტიკა იქნება იგი, თუ ანარქისტების პოლიტიკის უარმყოფელი პოლიტიკა. მესამენი ამბობდნენ: პოლიტიკაში ჩარევა მუშების საქმე არ არის, სარევოლიუციო სინდიკატებს თავიანთი საკუთარი საბრძოლველი ტაქტიკა აქვს. ეს არის პირდაპირი ბრძოლა კაპიტალისტებთან. ბევრის კამათის შემდეგ, გამარჯვებული მესამე მიმართულება გამოვიდა; იმ სინდიკატებს კი, რომლებიც ანარქისტულ ტენდენციებით იყვნენ გაჟღენთილნი და პოლიტიკურ სოციალისტურ პარტიებთან მტრულ განწყობილების დაჭერას ჰქადაგებდნენ, კონგრესზე სრულიად ვერავითარი გავლენა ვერ იქონიეს. ამიტომ სრულიად უნიადაგოა იმისი მტკიცება, ვითომ სინდიკალური მოძრაობა ანარქისტული მოძრაობა იყოს.

1906 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში მომხდარ ამიენის კონგრესზე 824 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 3, მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც კონფერენციის მდივანმა გრიფიუელიმ წარმოადგინა, აი ეს რეზოლიუცია: „ამიენის კონფედერალური კონგრესსი ამტკიცებს მეორე მუხლს შრომის საყოველთაო კონფედერაციის დამფუძნებელ წესდებისას, რომელიც გამოიხატება შემდეგში: მ. ს. კ. აერთებს ყველა მშრომელებს, **განურჩევლად მათის პოლიტიკურის რწმენისა**, რომლებსაც დაქირავებულ შრომის სისტემისა და პატრონატის გასაუქმებლად ბრძოლა საჭიროდ მიაჩნია." სინდიკატები, ამავე კონგრესის გარდაწყვეტილებით, თავის მიზნად კაპიტალისტებთან პირდაპირ ბრძოლას ისახავენ, მაგრამ ამასთანავე ერთად მტრულად არ უცქერიან იმ მუშაობას, რომელსაც სოციალისტური პარტიები პარლამენტში ეწევიან. კონგრესი ნებას აძლევს სინდიკატის თვითოეულ წევრს, როგორც კერძო პიროვნებას, ისეს პოლიტიკურ პარტიებში შევიდეს, რომელიც მის რწმენას ეთანხმება; კონგრესი მხოლოდ იმას ავალებს წევრებს, რომ თავისი პოლიტიკური რწმენა თვით სინდიკატებში არ შეიტანონ და ამით ამ ორგანიზაციებს თავის გზიდან არ გადაახვევინოს.

ასეთს მდგომარეობაში იმყოფება დღეს სინდიკალური მოძრაობა საფრანგეთში და იმედია, რომ მომავალშიაც ამნაირის გზით ივლის: იგი პოლიტიკურ პარტიებს აღარ დაემორჩილება, მაგრამ აღარც ანარქისტებს მისცემს ნებას, რომ პოლიტიკის სისტემატიურის უარჰყოფით ცალმხრივი პოლიტიკა შეიტანონ სინდიკატებში.

სინდიკალურმა მოძრაობამ ძლიერი და განსაკუთრებული ხასიათი საფრანგეთში მიიღო. სხვა ქვეყნებში კი მათი სოციალისტური მნიშვნელობა ისეთი პატარაა, რომ მათზე ლაპარაკიც მეტია. სინდიკალიზმმა იტალიაშიაც მოიკიდა ფეხი, მაგრამ იტალიის სინდიკალიზმი ჯერ ისევ გამოურკვეველია და არავითარი განსაზღვრული მიმართულება არა აქვს.

იტალიის სოციალისტურ პარტიაში ამ ჟამად დიდი იდეიური ბრძოლაა ატეხილი და როდესაც ეს ბრძოლა ასე თუ ისე დამთავრდება, მაშინ დავინახავთ, რანაირს მიმართულებას მიიღებს სინდიკალური მოძრაობა იტალიაში და რანაირს დამოკიდებულებას დაიჭერს პოლიტიკურ პარტიასთან.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენ ერთი შეგვიძლიან ვთქვათ. მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტული აზრები იტალიაში ადვილად ვრცელდება, რომ ამ აზრების გავლენა იტალიის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრაქციას ძალიან ემჩნევა, იგი მაინც ანარქისტების ტაქტიკას არ იღებს და ანტიპარლამენტარისტული მოქმედება რეაქციონურ მოქმედებად მიაჩნია. აი რას ამბობს ამის შესახებ ა. ლაბრიოლა თავის წიგნში, რომელიც სავსებით სინდიკალისტურ პრინციპების გამოსაკვლევად არის დაწერილი. „სოციალიზმი ისევ პროლეტარულად უნდა გადაიქცეს, —ამბობს ლაბრიოლა,—მან უნდა მოიგლიჯოს დემოკრატიულ პოლიტიკის სამოსელი და ისეთი პოზიცია დაიჭიროს, რანაირიც პროლეტარულ ცხოვრების პირობებს შეეფერება. **მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, დიდ შეცდომას ჩაიდენდა, დემოკრატიულ დაწესებულებებით (საარჩევნო უფლება, სახალხო წარმომადგენლია) სრულიად რომ არ ესარგებლა და სხვა კლასსების პოლიტიკურ ცხოვრებას სრულიად დაშორებოდა.** მაგრამ ამასთანავე ერთად უფრო დიდს შეცდომას ჩაიდენდა, თუ მათ განთავისუფლების ერთად-ერთ საშუალებად გამოაცხადებდა*) ან კიდევ „...**ამიტომ სავსებით ლოღიკურია**, რომ პროლეტარიატმა ყველა იმათთან ერთად, ვინც სახელმწიფო მანქანიდან პარტიობის განდევნაში დაინტერესებულია, **პარლამენტალურ რეჟიმით ისარგებლოს, მის ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღოს და მის სწორე მუშაობას ხელი შეუწყოს**. მაგრამ ცხადია, რომ პროლეტარიატმა ის არ უნდა მოსთხოვოს პარლამენტს, რის მიცემაც მას ვერ შეუძლიან, რომ პროლეტარიატს უფლება არა აქვს იმედი იქონიოს, რომ პარლამენტი გადასწყვიტავს ისეთს საკითხებს, რომლებიც მის ძირითად ხასიათს და ისტორიას ეწინააღმდეგება.**) მოვიყვან კიდევ ერთს ციტატს: „მუშები პარლამენტებს მხოლოდ იმას სთხოვენ, რომ სახელმწიფო მანქანის მუშაობას კანტროლი გაუწიონ და ბურჟუაზიულ პარტიების მოქმედებას თვალ-ყური ადევნონ; **ამ კანტროლზე მუშები უარს ვერ იტყვიან უიმისოდ, თუ თავიანთ თავს ვნება არ მიუტანეს. პარლამენტარიზმი ფაქტია და მისი გვერდზე ახვევა სიტუტუცედ უნდა ჩაითვალოს** ***) ამ სიტყვებს ა. ლაბრიოლა მეტად საყურადღებო შენიშვნას უკეთებს ქვევით: „რასაკვირველია, უაზრობა იქნებოდა პარლამენტალურ მოქმედების სარგებლობის უარყოფა, განსაკუთრებით, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ ვნებას, რომელიც კათოლიკებმა მიაყენეს თავიანთ თავს იმ სისტემატიურის საარჩევნო ბოიკოტით, რომელსაც მხოლოდ ანარქისტები მისდევენ. ანარქისტებმა ხომ ამით თავის წინააღმდეგ საზოგადოებივი აზრი აამხედრეს. მეორის მხრით **არც ერთს რევოლიუციონურს პარტიას არ შეუძლიან არსებულ დაწესებულებებით არ ისარგებლოს, რადგანაც ყოველნაირ პარტიის არსებობის აუცილებელ პირობას თვით ეს დაწესებულებანი შეადგენენ**".

ასეთია შეხედულება სინდიკალიზმის თეორეტიკოსისა, რომელსაც ამასთანავე ერთად ანარქისტულ აზრების დიდი გავლენა ემჩნევა.

ნათქვამიდან ნათლად გამოირკვა, რომ სინდიკალიზმს სრულიადაც არა აქვს აზრათ პარლამენტის წინააღმდეგ გალაშქროს. იგი მხოლოდ პარლამენტის გარედ მოქმედებს, რადგან მისი სოციალისტური იდეალი და რევოლიუციონური ტაქტიკა ამას მოითხოვს. რევოლიუციონური სინდიკალიზმი გვასწავლის: პარლამენტის საშუალებით სოციალიზმის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ პარლამენტის გარეშე მოქმედებით გვსურს ჩვენ მიზანს მივაღწიოთო. სწორედ ასეთსავე ნიადაგზე ვდგევართ ჩვენც. სინდიკალურ მოძრაობის მომხრეთ ვიქნებით იქამდის, სანამ იგი ამ პოზიციას არ გადუხვევს. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სოციალიზმის განხორციელება პარლამენტის საშუალებით არ შეიძლება, მაგრამ საზოგადოდ პარლამენტის მნიშვნელობას კი არ უარვყოფთ.

არ. ჯ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. А. Лабріола: „Реформизмъ и синдикализмъ", გვ. 207,

**) იქვე, გვ. 13.

***) იქვე. გვ. 33.

ლეში და თელ-ყური ადგენ წვრილ ვაჭრებს, რათა ახალი ჩვენებმა არ გადაღზვის ჩვენ მიერ მიღებულ პირობას.

# დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

13 ივლისი

რ უ ს ე თ შ ი.

**პეტერბურგი.** იუსტიციის მინისტრმა ცირკულიარით დაავალა ოლქის სასამართლოთა თავმჯდომარეთ და წინადადება მისცა მათ, დაუყონებლივ გამართონ [illegible] და განიხილონ [illegible] მინისტრი [illegible] დაუყოვნებლივ შეატყობინონ.

**პეტერბურგი.** [illegible]

**მოსკოვი.** [illegible] ფოსტა გადაარჩინეს.

**გროდნო.** [illegible] 15 მანეთი [illegible], სულ 17,000 მანეთი. [illegible] 33 მანეთი — 43,000 მანეთისა.

**სამარა.** [illegible]

**ომსკი.** 11 ივლისს, დილის 9 საათზე და 15 წუთზე [illegible]

**ლუგანსკი.** [illegible] 2000 მანეთი.

[illegible]

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ეკატერინოდან 486 [illegible]

**ლუგანსკი.** [illegible] ყუმბარა. [illegible]

**პოკროვსკი.** სავა მოროზოვის ფაბრიკაში ცდაიწყეს მუშების მიღება ძველ წესზე. მუშაობა ამ დღეებში დაიწყება.

**კოსტრომა.** კამინის ფაბრიკაში მუშაობა ისევ შესწყდა. სამი ფაბრიკა გაიფიცა. 12 ივლისს სოფ. იაკოვლევში გაიფიცა დორონდანის ფაბრიკა.

**ვორონეჟი.** ნიუნე-დევიჩის საეროზო კრებაზე აირჩიეს 9 მემარჯვენე და ზომიერი და 5 კადეტი.

**დონის როსტოვი.** პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს კავკავის რკინის გზის ხელოსანი.

**ვასალი.** შუადღისას მოვიდა ავტომობილით თავ. ჰორგეზე.

**პეტერბურგი.** საქმე გერცენშტეინის მოკვლის შესახებ სასამართლომ 11 აგვისტოსთვის გადასდო. ალექსანდროვსკი წინანდელ ჩვენებას უარსა ჰყოფს, ვითომ იუსკევიჩ-კრასნოვსკის გაუგზავნოს კავშირის წევრები გერცენშტეინის მოსაკლავად.

**ოდესა.** პოლიტიკურებს აფეთქება ნდომებიათ, რომ გაქცეულიყვნენ, მაგრამ საპატიმროს ადმინისტრაციამ დროით შეიტყო და ხელი შეუშალა. საპატიმროს ზოგიერთ ადგილას იპოვნეს ბევრი ასაფეთქებელი მასალა, ზოგიერთ პატიმარს ჯიბეშიაც აღმოაჩნდა.

უ ც ხ ო ე თ შ ი.

13 ივლისი.

**ლონდონი** (რეიტერი). კორეელი დელეგატები ჰააგიდან სოუტჰემპტონში წავიდნენ. იქიდან ამერიკაში აპირებენ წასვლას. პრინცმა იონგმა გაზეთის ერთ კორესპონდენტს უთხრა: ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს მოციქულობას ჰააგაში უხმოდ ჩაევლოს. ჩვენ ფრიად საყურადღებო რამ დაგვაბარეს, რომელიც ჯერ არ შეუსრულებიათ; ჩვენ გამოგვზავნა იმპერატორმა არა მარტო ჰააგის კონფერენციაზე, არამედ ევროპისა და ამერიკის მთავრობასთან, რომ პროტესტი გამოვაცხადოთ იაპონელების საქციელის გამო. კერძოდ ჩვენ უნდა გავაგებინოთ ყველას, რომ კორეია თავის დღეში უარს არ იტყვის დამოუკიდებულობაზე და არც იაპონელების პროტექტორატს დასთანხმდება. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და შეერთებულ შტატების დელეგატებმა გამოგვიცხადეს თავიანთი გულითადი მწუხარება კორეიის მდგომარეობის გამო და დაგვარწმუნეს, რომ დაგვეხმარებიან, რამდენადაც შესძლებენ; ჯერ ჩვენ არაფერი წარგვიდგენია ინგლისის მთავრობისათვის; ჩქარა დანიშნავენ კერძო დელეგაციას. დელეგაცია მოვა ლონდონში და იბრძოლებს იაპონიის პოლიტიკის წინააღმდეგ კორეიაში. ახლა მივდივართ შეერთებულ შტატებში, სადაც, იმედი გვაქვს, ვნახავთ პრეზიდენტს, მერე ამერიკის უმთავრეს ქალაქებს დავივლით და რამდენის მე კვირის შემდეგ ისევ ინგლისში დავბრუნდებითო.

**ვენა** (კორეს. ბიურო). ზედა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, დეპუტატთა პალატის მიერ მოწონებული. სხვათა შორის მიიღო კანონ-პროექტი ოსმალეთის სადამოყენო გადასახადის მომატების შესახებ. ორივე პალატა საზაფხულოდ დაიშალა.

**ლონდონი.** პრინცმა იონგმა კიდევ სთქვა: ჩვენ გამოგვგზავნა იმპერატორმა, რომელმაც მეფობაზე ხელი აიღო. სამშობლოდან წამოსვლამდისაც ვიცოდით, რომ იაპონია იმპერატორს მეფობაზე ხელს აადებინებდა. ამ ბოლო დროში მომხდარი ამბები ჩვენს მიზანს ხელს სრულებით არ უშლის. წამოსვლის დროს იმპერატორმა დაგვაბარა, პირად მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მე თუნდაც რომ მომკლან, თქვენ მაინც განაგრძეთ საქმე და ეცადეთ, კორეიას დამოუკიდებლობა დაუბრუნოთო. ნაძალადევად ტახტზე ხელის აღება ჩვენთვის უმნიშვნელოა. თუ ახალი იმპერატორი ვერ იგრძნობს მამის პოლიტიკის საჭიროებას, ნაიმპერატორალი ასწავლის, როგორ უნდა მოიქცეს. ჩვენ ვთხოვთ დიდ სახელმწიფოებს, დაამტკიცონ ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც ჰოლლანდიისა, ბელგიისა და შვეიცარიისა. იმპერატორის გადადგომა იაპონელების ფულის და კორეელ მოღალატეთა ოინებია. ახალი იმპერატორი სუსტი კაცია. იგი ჭკუიანია, მაგრამ იაპონელების წინააღმდეგ საბრძოლველად ღონე არ შესწევს.

**სეული.** იტომ კორეის კაბინეტს გარდასცა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ახალი პროექტი. იაპონიის წინადადება ტახტს ცუდს არას უქადის, მაგრამ სახელმწიფოს წეს-რიგს ძირიანადა სცვლის.

როგორც ჩემულპოდან იუწყებიან, ია[illegible] ჯარით. ჯარი სეულისკენ გაემართა.

10 ივლისს სასახლის ბევრი წვრილი მოხელე და მოსამსახურე დააპატიმრეს. შეთქმულების კვალს უნდა მიაგნონ და ამისთვის ყოფილ იმპერატორის წერილს ეძებენ.

**ჰააგა.** მეორე კომისიის პირველმა მცირე კომისიამ განიხილა საკითხი სამხედრო ტყვეებისა და იმ ქვეყნის ერის შესახებ, რომელსაც მტრის ჯარი შეესევა. სხდომის ოქმს დასძინეს იაპონიის წინადადება, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს უცხოელები თავისს საზღვრებიდან გაამეოს. შემდეგ კომისია გადავიდა სამხედრო ტყვეების დაჯილდოებაზე. ერთხმად დაადგინეს, დაჯილდოებას საფუძვლად ჩვეულებრივი ჯამაგირი დაედოს, ის ჯამაგირი, რომელიც ეძლევა ჯარის კაცს თავისს მთავრობისაგან. იაპონია ამ აზრს არ დაეთანხმა. იაპონიამ განაცხადა, რომ ჯამაგირი კი არა, შესაფერი ფული უნდა მიეცესო.

**ტოკიო.** პალიანთან (კორეია) მატარებელს დაეცნენ. სეულის მახლობლად დადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები.

**თეირანი.** გერმანიის ბანკის დაარსების შესახებ კონცესიას 10 ივლისს ხელი მოაწერეს ვაჭრობის მინისტრმა და დირექტორმა გაუტმანმა. პირობის ზოგი მუხლი გამოსცვალეს. სხვათა შორის კონცესია 45 წელს უნდა გაგრძელდეს. კონცესია უფლებას აძლევს ვაჭრობის მინისტრს ყოველ წელს რევიზია უყოს ბანკის საქმეებს, ბანკის განყოფილებებს სამხედრო დარაჯებს მიუჩენენ.

**ლონდონი.** ალლაგაბადიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ ინდოეთში არეულობა მოხდაო, განსაკუთრებით კოკანდსა და რაჯამუნდში. კოკანდაში მთავრობის მოხელე ველოსიპედიდან ჩამოაგდეს და გაძარცვეს. რაჯამუნდში გააძლიერეს პოლიციის პატრულები ევროპიელების დასაფარავად ადგილობრივ მკვიდრთა თავდასხმისაგან. რამდენიმე ადგილობრივი ვექილი მოწადინებული იყო, ორგანიზაცია შეედგინათ და გუბერნატორს არ დახვედროდნენ და არ მისალმებოდნენ. განზრახვა ჩაეშალათ. როგორც იუწყებიან, არეულობა პანდიმერშიაც დაწყებულა.

**ზელფანცი.** რადგან ნახშირის მადნების მუშები გაიფიცნენ, დაიხურა უდიდესი მაფის სართავი ფაბრიკა, სადაც 4000 კაცი მუშაობდა.

**ტოკიო.** 12 ივლისს ხელი მოაწერეს იაპონია-კორეის ხელ-შეკრულობას, რომელიც შესდგება 7 მუხლისაგან. ხელშეკრულობას აზრა აქვს კორეის განახლება. პირველი მუხლი: კორეიის მართვა-გამგეობის საქმეში ხელმძღვანელობს იაპონიის რეზიდენტის რჩევით. მუხლი მეორე: საკანონმდებლო და საადმინისტრაციო საქმეებში, როცა რამე დიდი ზომებია მისაღები, რეზიდენტს უნდა დაეკითხნენ. მესამე: სასამართლო და ადმინისტრაცია შემდეგში უნდა განსაზღრულ იქმნას. მეოთხე: დანიშვნა და დათხოვნა უმაღლეს მოხელეთა უნდა მოხდეს რეზიდენტის თანხმობით. მეხუთე: რეზიდენტის რჩევით სამსახურში უნდა მიიღონ იაპონელი ქვეშევრდომნი. მეექვსე: რეზიდენტის ნება დაურთველად უცხოელების მიღება კორეის სამსახურში შეუძლებელია. მეშვიდე: იცვლება 1903 წლის ხელ-შეკრულების პირველი მუხლი.

**პარიზი.** იაპონიის ფლოტის ვიცე-ადმირალი ლიუინი მიიღო ზღვათა მინისტრმა. შემდეგ ცისეის სასახლეში ფალიერმა სტუმრებს საუზმე გაუმართა. ფალიერმა სადღეგრძელო დალია და იმედი გამოსთქვა, რომ იაპონელების პარიზში მოსვლა იაპონია-საფრანგეთის მჭიდრო დაახლოვებას ხელს შეუწყობსო. იაპონიის ელჩმა მადლობა გადაუხადა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. აბალიშვილი.**


# განცხადებანი

პირველი კერძო საავადმყოფო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ტერ-ვეზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პეტინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელდიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერზინინა:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საზებით და ქალებისა.

[illegible] საათ. ქალებისა და საზებით.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საავადმყოფოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—112)

# მასწავლებელთ საყურადღებოთ!

„არითმეტიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მისივე)—40 კ.

**ქ ა რ თ უ ლ ი წ ე რ ი ს დ ე დ ა ნ ი**

ალ. ძირინაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები** და **სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გზეგზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

(20—193—4)


# ახალ პიესის

„შვილი უდანაშაულოდ დასჯილის“ ავტორი ვაცხადებ საყოველთაოდ, რათა არავინ ისურვოს ამ პიეს-ს სცენაზე დადგმა—ჩემს დაუკითხავად და ნება დაურთველად. (3—6.—1)

## ღია წერილი ალექსანდრე მერაბოვს

თქვენ მოათავსეთ წერილი «ისარის» 127 ნომერში, რომელშიაც მე მეხებით, ცილსა მწამებთ და შეურაცხყოფას მაყენებთ. მიწვევთ სამედიატორო სამართალში და წინადადებას გაძლევთ ან მიიღოთ თქვენი სიტყვები უკანვე, ან სამი დღის განმავლობაში აირჩიოთ თქვენის მხრით ორი კაცი მედიატორად და შემატყობინოთ მათი სახელი, გვარი და ბინადრობა წერილობით და მეც მაშინვე წარმოგიდგენთ ჩემის მხრით მედიატორებს და ბოლოს ვნახავთ, ვის რა ბრალი ედება და ვინ ვისთან სტყუის. რაც შეეხება დანარჩენ ხელის მომწერლებს, მე მათთან არავითარი საქმე არცა მქონია, არცა მაქვს და თუ რომელიმეს მათგანს ექნება ჩემთან საქმე, თქვენთან გასწორების შემდეგ მზადა ვარ მასაც პასუხი გავსცე. **სოსიკო მერკვილაძე.**

(1—1)


# მხოლოდ

იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კეფირი

## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—42) პატივ. **ო. კორონი.**


## პასუხი ბ. მელქისედეკ მახარაძეს.

ჩვენდამი მომართულ თქვენს ღია წერილზე („ისარი“ № 150) გაძლევთ შემდეგ პასუხს: ჩვენ საჭიროდ არა ვთვლით ჩვენს რეზოლიუციაში საქმის გარემოება დაწვრილებით აგვენუსხა, რადგან თქვენ სრულიად გამართლებული იყავით იმავე „ჯგუფისაგან“ რომელმაც 1906 წელს თქვენი საწინააღმდეგო ფურცელი გამოუშვა. ეს „ჯგუფი“, დარწმუნდა რა თქვენს სრულ სიმართლეში, წინადადებას აძლევდა ბ. სამ. ნაკაიძეს საქვეყნოდ, გაზეთის საშუალებით, ბოდიში მოეხადა და თავისი დანაშაულობა თვითონვე ეღიარებია, რადგან ბ. ნაკაიძეს ხსენებული „ჯგუფი“ განძრახ შეცდომაში შეეყვანა თქვენის პიროვნების შესახებ. საქმის ასეთი გარემოების მიხედვით ჩვენ საკმარისად ვცანით გამოგვეტანა მოკლე რეზოლიუცია. სამწუხაროდ, ასეთმა მოკლე რეზოლიუციამ არ დააკმაყოფილა მოპირდაპირენი და საზოგადოებაშიაც გაუგებრობა დაბადა. ამის გამო ბ. მელქისედეკ მახარაძის შეკითხვის საპასუხოდ „ლახვარი“ მე-45 და „ისარი“-ს მე-123 ნომრებში სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარემ ფ. მ. მოათავსა ხსენებულ რეზოლიუციის განმარტება. ამ განმარტების შემდეგ „ისარი»-ს მე-146 ნომერში გამოვიდა ამავე საქმის შესახებ ერთი მედიატორეთაგანის ტ. ჯ. წერილი, რომელმაც გამოიწვია თქვენ მიერ ჩვენდამი შეკითხვა („ისარი“ 150). ამ საქმის შესახებ, ყოველივე გაუგებრობის მოსასპობად, ვალდებულად ვრაცხთ ჩვენ თავს, მოგცეთ გადაჭრილი პასუხი თქვენგან დასმულ სამ შეკითხვაზე: 1. გაზეთ «ლახვარი»-ს მე-45 და «ისარი»-ს მე-123 ნომრებში სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარის ფ. მ. მიერ მოთავსებული განმარტება ჩვენ მიერ გამოტანილი რეზოლიუციისა წარმოადგენს სრულ სიმართლეს, რასაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით; 2. საქმის გამოძიებამ დაამტკიცა სრული თქვენი სიმართლე და მოგვხსნათ თქვენ ის ცილისწამება, რომელიც გაავრცელა თქვენს შესახებ ბ. სამ. ნაკაიძემ, როგორც ეს «ჯგუფის» მიერ გამოცემულ უკანასკნელ ფურცლიდან სჩანს [illegible] 3. თუმცა გაზეთ «ისარი»-ს მე-74 ნომერში ბ. სამ. ნაკაიძე [illegible] თქვენ [illegible] გამოამჟღავნებდა ვითომ თქვენ მიერ ჩადენილ «საგმირო საქმეებს», მაგრამ, მიუხედავად ასეთი განცხადებისა, სასამართლოს შეკითხვაზე მან უკან წაიღო თავისი მუქარა და განაცხადა, რომ მას თქვენი, მელქ. მახარაძის, საწინააღმდეგო არაფერი აქვს და არც არავითარი «ჯგუფი» შეცდომაში არ შეუყვანია. საქმის გამოძიებამ კი ნათლად დაამტკიცა, რომ ბ. სამ. ნაკაიძეს ხსენებული «ჯგუფი», როგორც ამ «ჯგუფის» ფურცელშიაც იყო გამოცხადებული, შეცდომაში შეუყვანია და მოუნდომებია თქვენის სახელისთვის სრულიად უსამართლოდ ჩირქი მოეცხო. აქედან ცხადია, თუ რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს მკითხველმა ბ. სამ. ნაკაიძის მოქმედების შესახებ.

მედიატორები (1. გ. ჭ.
(2. გ. მ.


**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**

# ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**

გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის“ გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.**

(10—უ—9)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . . 1 მ.
9. **«სთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—7)

ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ

„Дзмоба“

„ძმობა“

ამხანაგობა

въ ТИФЛИСЪ.

Головинскій проспектъ

№ 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—79)

კურსები კავკასიაში.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი ბუხჰალტერიისა და საკანცელარიო ცოდნის კურსები

# გ. ა. პირაკოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმაგ. იტალ., სარკინიგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები.

(10—124—10)

რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ[illegible]


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.